



ჩემი სახელი?

My name is

Different

ნატეხები

Broken Pieces

ქმ ნივთი ხეობი და თქვენბია, ჩვენბია - ვინც ის გამოვითქვითი სდმვათქმბილვა.
თბდა წსბმვთქვთბთი და ვაგვთბთი ხეობი დაგვთქბა, ხეობი ქთვთბთი - თბმთქბთბია.



This book is about myself. My name is Different. I have a mental disorder. I want to introduce my disease to you and let you know, that you are not alone. We could start the next chapter together if we learn from yesterday and if we try to live for today, tomorrow will bring the hope.

წიგნი მოამზადა
ნინო აბდუშელიშვილმა

ორგანიზაცია „მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის ცენტრი“ განსაკუთრებულ მადლობას უხდის ყველას, ვინც მონაწილეობას იღებს სათემო ფსიქიატრიული სერვისების განვითარების საქმეში.

ფონდს „ღია საზოგადოება-საქართველო“, ჯუდიო კლაინს და ირმა ხაბაზს.



პარტნიორ ამერიკულ ორგანიზაცია PEP-ს. მის ხელმძღვანელ დეილ მაიერს. თანამშრომლებს: მარსია ჰარტონს, არჩილ აბაშიძეს და ორგანიზაციის სხვა წევრებს.

ქალაქ თბილისის მერიას.



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.



სოციალური ღებმარების სააგენტოებს, სათემო ფსიქიატრიული სამსახურების თანამშრომლებსა და სერვისში ჩართულ მოხალისეებს.

გამოცემულია ფონდი ღია საქართველოს მხარდაჭერით. ავტორების მიერ წარმოდგენილ მასალაში გამოთქმული მოსაზრება შეიძლება არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას, შესაბამისად ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე

The Book Prepared by
Nina Abdushelishvili

Evidence Based Practise Center expresses gratitude to the partner organization „*People encouraging People*“, its director - Dale Meyer, also to Marica Harton, Archil Abashidze and other members of the organization for the tremendous support in the development of *Assertive Community Treatment in Georgia*.

Special thanks to Judith Klein and Irma Khabazi from *Open Society Georgia Foundation* for their input and developing ACT service in Georgia.



Tbilisi City Hall



Ministry Of Labor Health And Social Affairs



Published with the support of *Open Society Georgia Foundation*. Opinions expressed by authors might not reflect the position of the Foundation. Hence OSGF is not responsible for the content of this publication.



მე გავჩნდი და დავიბადე სულით და სხეულით. დღეს ცოცხალი ვარ. ჩემი სახელი საზოგადოა და კრებითი. ქალიც შეიძლება ვიყო, კაციც და მოზარდიც... ვცხოვრობ ყველგან, სხვადასხვა კონტინენტებზე, ქვეყნებსა და რეგიონებში, სხვადასხვა რასებსა და ნაციონალობებს მივეკუთვნები, სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობ, საზოგადოების სხვადასხვა ფენას განვეკუთვნები... ზოგჯერ მდიდარი ვარ და ზოგჯერ ღარიბი, გენიოსიც ხშირად ვარ და გონებრივად შეზღუდულიც, განათლებულიც და გაუნათლებელიც, ზოგჯერ კინოვარსკვლავი ვარ და ზოგჯერ მანანალა... მაგრამ ყოველთვის მე ვარ, მე - ჩემი ვინაობით, სახითა და ხასიათით; ჩემი როლი ყოველთვის განსაზღვრულია ამ ცხოვრებაში, ჩემი მონაღება და მისია კი - გამოკვეთილი... მე ვერაფერ ჩამანაცვლებს და ვერც ჩემს ცხოვრებას იცხოვრებს ვინმე ჩემს ნაცვლად. ჩემი ცხოვრების გზა მხოლოდ ჩემია, და ის მხოლოდ მე შემიძლია, გავიარო.

მეც, როგორც ყველა, ზოგჯერ ჯანმრთელი ვარ და ზოგჯერ - არა. როცა ავად ვხდები, ვიცი, რომ ჩემი სხეულის რომელიღაც ნაწილი დაზიანდა (ან თავი ან გული ან კბილი)... დაზიანებას ტკივილით ვიგებ და ტკივილის გასაყუჩებლად ექიმს ვეძებ, რომელიც, გააჩნია რა მანუხებს, იმის მიხედვით ხან კარდიოლოგია, ხან ონკოლოგია, ხანაც - სტომატოლოგია... მე ვიცი და ვიცნობ ჩემს სხეულს, მის დიდ ნაწილს სარკეში ვხედავ ყოველ დღე... ვიცი, რომ სუსტია და მოკვდავი. ვიცი, რომ შეიძლება ავად გახდეს და იმკურნალოს. მაგრამ თითქმის სულ არ ვიცნობ ჩემს უხილავ ნაწილს, ჩემ სულს. მით უფრო, სულ ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ეს უხილავი ნაწილი ჯერ ავად გახდეს და მერე იმკურნალოს კიდევ. და როცა ეს ხდება, როცა ჩემი სული ხდება ავად, მოულოდნელობისგან ისე ვიბნევი და ვიკარგები, შევლასაც არ ვითხოვ, რადგან

არც კი ვიცი, რომ შევლა მჭირდება და ასე გზაკვალ აბნეული ვინცე ხეტიალს. თუ შემთხვევით ავადმყოფობა რაიმე ტრავმის შემდეგ დაიწყო, კიდევ არა უშავს, რაღაც ახსნას მაინც მოუძებნი, მაგრამ უფრო ხშირად არავითარი წინაპირობა არა აქვს, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ჩემს ისედაც მძიმე მდგომარეობას. დასაწყისიც არასოდეს ერთნაირი არ არის: შეიძლება ხმებით დაიწყო, შეიძლება ფიქრით, შეიძლებაა შეგრძნებით ან საქციელით, როგორც წესი, საკუთარი თავის არატიპური გამოხატულებით. ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ არცერთი ამათვანი - არც ხმა, არც ფიქრი, არც ემოცია, არც საქციელი, თითქოს შენი არ არის. საიდანლაც ჩნდება, შენგან დამოუკიდებლად, შემოდის შენში და იწყებს შენს მართვას, სულ ცოტა ხანში კი სრულიად გაკონტროლებს. ამან შეიძლება მართლა გაგაგიჟოს. ყოველდღიურად ხვდები, როგორ გაკლდება ძალა, თანდათანობით როგორ კარგავ თავისუფალ ნებას, როგორ შედიხარ ამ უხილავი ძალების მორჩილებაში და როგორ ხდები მათი ტუსადი. სრულიად გამოუცდელი და მოუმზადებელი, თავიდან თითქოს რაღაც წინააღმდეგობას უწევ, რომ როგორმე დაუსხლტე და დაუძვრე მათ კლანჭებს; ყველა ხერხს მიმართავ, რაც თავში მოგდის, ეძალები ალკოჰოლსა და წამლებს, რომ როგორმე ცოტა მაინც იგრძნო შეღავათი ამ საშინელი ზენოლისგან.. თავიდან თითქოს ამართლებს კიდევაც თავის მომძინარება, მაგრამ ძალიან მოკლე ხანში მდგომარეობა უარესდება. მერე კი, საშიში ხდება და მერე კიდევ უფრო საშიში, როცა უცნაური გამომეტყველებით შემოგხედავენ და როგორც უკვე არათავისიანს, ისე გეტყვიან, რომ შენ ფსიქიკურად დაავადებული ხარ და შენი დიაგნოზი შიზოფრენიაა. შენ კი, ამ დროს სრულიად ვერ ხვდები საკუთარ ავადმყოფობას და

I was born as a human being (body and soul). Now I exist. My name is Different. Sometimes I'm male, and sometimes I'm female. I live worldwide, in different countries and different regions. I belong to different races and different nationalities. I'm from different societies and my background is different... But I'm always a person. I'm always an individual and I always have my specific vocation or mission in life. I cannot be replaced, nor can my life be repeated. My task is unique and I live my own life.

Sometimes I'm healthy, but sometimes I'm sick. When I'm sick: there is something wrong with different parts of my body; it could be heart or lungs, joints or teeth... It hurts regardless. Dependent on my ache, I choose different doctors to fix the pain. More or less, I know my body; I'm familiar with my visible parts. I know they are fragile & mortal and they could be sick and be treated. But I barely know my invisible second part – my soul, and I definitely don't know that it could be sick too. When it happens, I feel totally lost, I don't know how it is possible to treat or fix that invisible part of mine.

Usually it starts out of the blue (sometimes after some kind of trauma), has different forms and appears in different shapes. It could be a voice or thought; it could be an emotion or a behavior... They come from somewhere, take over and manipulate me. None of those are mine, neither thoughts, voices, nor behaviors... Those nagging little voices inside of me are so annoying; they really could make you crazy. If you ever heard or felt that way, you know what I'm talking about. At first you fight back, or try to escape from it, using all possible ways, whatever first comes to your mind (alcohol, drugs...). It does help for a short time, but after a

while, it becomes worse... It is scary, and it becomes even scarier when you are told, that you are mentally ill and your diagnosis is Schizophrenia. The worst part is that, your definition of sickness is totally different. You don't feel yourself ill and obviously you don't want to be treated... Someone or something twists your mind and you are told that you are the one who needs the treatment? It sounds so unfair. At that time you don't know yet that it is a lost cause already and eventually, you'll sign the paper where you'll admit that you are sick and insane. Since you could not prove it wrong, anger, desperation and loneliness will take advantage of you and will make you their prisoner. Eventually you'll ask for help. And help will come as soon as you ask. The first good thing what help does, gives you information and explains, that for example mental illness is like a physical illnesses and more than 60 million Americans have it in any given year. Mental illness affects one in four adults and one in five children and very few people however actually seek treatment. The stigma associated with mental illness is still the biggest barrier that prevents people from getting treatment and adhering to it. Mental disorder is a disease of the brain that causes mild to severe disturbances in thought, emotion, behavior... resulting in inability to cope with life's ordinary demands and routines. There are more than 200 classified forms of mental illness. Some of the more common disorders are: depression, bipolar disorder, dementia, schizophrenia and anxiety disorders. Symptoms may include changes in moods, personality, personal habits and/or social withdrawal...

Such information already gives you a hope: you are not alone and you could feel better.

სრულებით არ გრძნობ თავს ავად (ტრადიციული გაგებით, არც ტკივილია და არც წუხილი), შესაბამისად, არც მკურნალობის საჭიროება გესმის და მხოლოდ თავი გეცოდება. ან კი როგორ არ უნდა გეცოდებოდეს? ჯერ, გარედან შემოსული, რალაც საშინელი ძალა იწყებს შენით მანიპულირებას და მერე ამბობენ, რომ სამკურნალო ხარ... ამაზე მეტი უსამართლობა სად გავიხილა?

ამ დროს შენ ჯერ კიდევ არ იცი, რომ დიაგნოზი უკვე დასმულია და განაჩენიც გამოტანილი. ძალიან მალე თავადვე მოაწერ ხელს შენთვის სპეციალურად დანიშნული აუცილებელი მკურნალობის დოკუმენტს.. ამის მერე ხდება ზუსტად ის, რაც უნდა მოხდეს... საშინლად ბრამდეები, რადგან ცდილობ, რომ ვიღაცას შეასმინო და გააგებინო შენი რეალური მდგომარეობა, შენი კი არავის ესმის, რაც კიდევ უფრო მეტად უფრო აგრესიულს გხდის, ზოგჯერ კაცთმოძულესაც კი; ეს კი უკვე თავისთავად ყოველგვარ შანსს გიკარგავს, ვინმეს რამე აუხსნა და გააგებინო. ამის გამო საშინელი მართლობის გრძნობა შემოდის და ისადგურებს შენში... მართლობას უიმედობა ემატება და ბოლოს სრული აპათიით მთავრდება... არსებობა აზრს კარგავს და ყველაფერი სულერთი ხდება. მხოლოდ ერთადერთი კითხვა გიტრიალებს თავში: ღირს კი ცხოვრება საერთოდ? სანამ ამ კითხვას პასუხს გავცემდი, რატომღაც ფიქრმა წარსულისკენ წამიღო და იმ ავადმყოფობების და პრობლემების გახსენება დავიწყე, რაც კი ოდესმე გადამიტანია, ხან მტკივანი კბილით გამახსენდა ჩემი თავი და ხან მონამლული მუცლით... მოზარდობაში გაკეთებული ბრმა ნაწლავის ოპერაციაც გავიხსენე... მერე ერთხელ საშინელი გრიპი მქონდა მაღალი სიცხეებით, მგონი ფილტვების ანთებით გამირთულდა, მოკლედ საავადმყოფოში ამოვყავი თავი... და უცებ იმასაც მივხვდი, რომ ის გაფუჭებუ-

ლი კბილი, რომელიც ასე მანუხებდა, ჩემი ამოსაღები გახდა, რადგან კბილი მე მტკიოდა და არა დედაჩემს. ბრმა ნაწლავის ოპერაციაზეც მართო შემეყვანეს და ფილტვების ანთების დროს ნემსებსაც მართო მე მიკეთებდნენ... მერე სხვა პრობლემებიც გამახსენდა, ავადმყოფობის გარდა და მივხვდი, რომ ყოველთვის მართო ვიყავი თურმე ჩემ ტკივილთან დარჩენილი, ყოველთვის მართო მტკიოდა ჩემი სატკივარი და ყოველთვის მართო ვუძღვებოდი ჩემს პრობლემებს. ამ ფიქრმა ცოტა გამომაცოცხლა; აბა, ეხლა რა დამემართა, რამ გამაბრამა, უიმედობაში რამ ჩამაგდო-მეთქი... არაფერია ისეთი, რაც აქამდე არ გამომიცდია და რასაც ვერ მოვერევი... მაგრამ რატომღაც ამ ჯერზე ყველაფერი საოცრად რთული მეჩვენა, ბევრად უფრო რთული, ვიდრე აქამდე. არადა ისიც გამახსენდა, როგორ ვიღებდი გადაწყვეტილებებს, როგორ ვიცოდი, რა იქნებოდა უფრო სწორი და კარგი ჩემთვის იმ არსებულ სიტუაციაში. ამაში საკუთარი გამოცდილება მეხმარებოდა. ეს ჩემი ცხოვრების გზა იყო, ჩემი გასავლელი გზა და არა - სხვისი. ჩემს გადაწყვეტილებებზე მე ვიყავი პასუხისმგებელი და არჩევანსაც მე ვაკეთებდი. ახლა კი ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს საიდანღაც გამორთული ვარ, თითქოს ნიადგი მაქვს გამოცლილი, რასაც არ უნდა ვფიქრობდე, ჩემივე ფიქრში ეჭვი მეპარება, ყველა ჩემს სიტყვას ნეგატიური მნიშვნელობა აქვს, არც ერთი ჩემი ემოცია სტაბილური არ არის. საყრდენი არა მაქვს, სრულიად დაკარგული მაქვს ორიენტაცია და ვდგავარ ასე, თითქოს ტრიალ მინდორში ნირნამხდარი და წარმოდგენა არა მაქვს ან სად მივდივარ ან რა გზას უნდა დავადგე, რა ვქნა? პასუხი, თვითგადარჩენის ინსტიქტმა ამომძახა, შველა გჭირდება, მართო შენ ამას ვერ მოერევი... მაშველი ითხოვე...



Hidden Myself and Hidden Words

I started to think how to do it, how to get better. It may surprise you, but I started with words, as I believe, that words could solve my puzzle. My diagnosis is... but wait... What does the word “diagnosis” mean? It derives from the Greek origin – “gnosos” – that means “meaning” and the way of knowing. You see it is not accidental that the knowledge and meaning are the keys of the locked door, with people like me stuck in front of it. My diagnosis is Schizophrenia. The word “schizophrenia” comes from the Greek roots also, schizo (split) and phrene (mind), the word describes the fragmented thinking of people with the disorder. But the illness itself is generally believed to have accompanied mankind through its history. Written documents that identify Schizophrenia can be traced to the ancient Egypt, as far back as the second millennium B.C. Depression and the other symptoms of Schizophrenia, including thought disturbances, are described in detail in the book “Book of Hearts” (the heart and the mind have been synonymous in ancient Egypt). However, the disease first was identified as a discrete mental illness by German psychiatrist Emile Kraepelin and Swiss psychiatrist Eugen Bleuler. The definition of Schizophrenia has continued to change, as scientist attempt to more accurately delineate the different types of mental diseases. Without knowing the exact causes of this disease, scientists base their classifications on the observation of the symptoms that tend to occur together. It becomes even more interesting... Just the fact, that scientists don’t know the exact cause of the disease and they work blind, that explains why I was so scared and anxious. The human experience is characterized by our feelings

toward certain aspects of our environment:

1. Things that we do not understand frighten us;
2. We are calmed by familiarity;
3. We are anxious in the face of uncertainty;
4. We are depressed by our losses;

It seems that all my reactions were normal so far. I was scared, because I could not understand what was happening to me. I could not stay calm, because it was impossible to ignore those strange voices. I was anxious, because I was uncertain, and I was depressed, because I lost my previous life, which never will be the same again. Before I asked for help and knew nothing, it must be understandable, that I intuitively tried all the means to calm myself, using all reachable substances. Actually what I found out later, there are many chemical substances that have the power to alter this relationship between the environment and feelings. Historically, most of the mind-altering substances were plant products that were widely available and self-administered. Opium was used in Asia, tobacco- in America, and the alcohol- throughout the world. When substances are administered in a formal manner, they are called drugs, and the study of the effects of these drugs on mood and behavior defines the field of Psychopharmacology. Today, hundreds of different drugs are known that changes behavior. Some of these have been borrowed directly from folk medicine those maybe centuries old, others have been discovered by accident, to treat one malady, and it ended up being effective for some totally different problem. Although important contributions have been made from both of these sources, the vast majority of the

it, soul; “terapia”-healing). Unlike other disciplines, Psychotherapy is a long learning & treatment process, complex of curative mechanisms of change. Psychotherapy or “Talk Therapy” is a way to treat people with psychological and mental disorders by giving them tools to deal with stress and crisis, unhealthy thoughts and behaviors; teaching strategies and techniques to help themselves by talking, expressing, criticizing, acknowledging, admitting, realizing. I think those are the exact tools I could use to deal with my problems and help myself. But first, let me repeat 3 major words of Ancient Greek origin what I have just learned:

1. Diagnosis – meaning and way of knowing;
2. Schizophrenia – schizo (split) and phrene (mind);
3. Psychotherapy – psyche (breath, spirit, soul) therapia – (healing);

So far, so good... Now what is crisis? Crisis appears to be the same exact condition, what I just went through, when I completely lost my sense of direction and I could not fit my life into anything. The word crisis in German language means “shut-door panic” and it literally describes my fear of being on the wrong side of closing gate. There is no way to explain why it was so scary, or what was wrong on the other side of the gate, but I remember that it was one of the worst feelings I ever had.


What is stress? Stress is a Latin term for struggle and French term for – force. Stress is the state of mental or emotional strain or tension resulting from adverse or very demanding circumstances. Stress is the condition when your wishes, emotions and ideas are in conflict. Stress is a reaction to danger.


modern drugs have been developed through systematic research on the relationships among drugs, behavior, and the underlying chemistry of the brain. It is very helpful information also, because if my “so-called disease” is a result of my brain damage, or it is a side effect of my damaged brain, I could use one of those hundred drugs as my treatment. That part, I do understand very clearly, because it is pretty much similar to any physical treatment. But somehow I think that it should be some other treatment besides drugs. Medications would be a quick fix and they may even work in a long term, but even if they work, it may not be enough, because it is not an ordinary disease and it is not a regular physical pain.

Talking Cure or Soul Healing

I have done a little research and as I hoped, the other treatment does exist- Psychotherapy or in other words - soul healing (“Psyche”-breath, spir-







აპათია, მოტივაციისა და ინტერესების ნაკლებობა, სოციალური იზოლაცია. ამ სიმპტომებს ნეგატიურ სიმპტომებს უწოდებენ. მესამე ფაზაში, რომელიც შეიძლება წლები გაგრძელდეს, ხშირად ვითარდება გამწვავებები, რომელიც, როგორც წესი, დამატებით ინტერვენციას საჭიროებს. პირველი ეპიზოდის შემდეგ, შემთხვევათა 14%-20%-ში გამოსავალი შესაძლოა იყოს სრული ან თითქმის სრული გამოჯანმრთელება. გამწვავება შეიძლება გამომწვეული იყოს სხვადასხვა სტრესით, სოციალური პრობლემებით ან იზოლაციით. ზოგჯერ გამოჯანმრთელება სპონტანურად ხდება, რაც, შესაძლოა, პაციენტის პიროვნულ რესურსებს უკავშირდებოდეს.

ეს ინფორმაცია ძალიან მომეხმარა. ჯერ ერთი, აღმოჩნდა, რომ მართო არა ვარ და თურმე ძალიან ბევრნი ვართ, არც შიზოფრენიაა განაჩენი, არც ავადმყოფობა - უსაშველო და მკურნალობაც არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ თავს სრულეზითაც არ ვგრძნობ ავად, მაინც მინდა, უკეთ ვიყო და ჩემი ძველი ცხოვრება დავიბრუნო. თუმცა, სადღაც გულის სიღრმეში ვიცი, რომ ჩემი გამოცდილებით უკან მიბრუნება შეუძლებელია. იმასაც ვხვდები, რომ განსხვავებული ვარ და იმასაც, რომ განსხვავებული ცხოვრება მელოდება. ამიტომ, რაც უფრო ადრე მოვერგები ჩემს განსხვავებულ ცხოვრებას, მით უკეთესი იქნება ჩემთვის. მოსარგებად კი ოსტატობა მჭირდება. ოსტატობისთვის ცოდნა, ცოდნისთვის კი სწავლა.

ითხოვე და მოგეცემაო, ნათქვამია და დახმარება მართლაც მოდის. მოდის დაუყოვნებლად და თან გზადაგზა ყველაფერს გიხსნის, რაზეც აქამდე წარმოდგენა არ გქონდა. მაგალითად, იმას, რომ ფსიქიკური ავადმყოფობით, ზუსტად ისევე, როგორც ნებისმიერი ფიზიკური, ყოველწლიურად ავადდება მილიონობით ადამიანი და აქედან ძალიან ცოტა თუ მიმართავს დახმარებას, რადგან ამ დაავადებასთან ასოცირებული სტიგმა ჯერ კიდევ უდიდესი ბარიერია, რომელიც აბრკოლებს ადამიანებს მიიღონ შესაფერისი მკურნალობა. შიზოფრენია წარმოადგენს ფსიქიატრიულ დაავადებას, რომელსაც ახასიათებს აზროვნებისა და აღქმის ძირეული დარღვევები შეუსაბამო ემოციური რეაგირებით. შიზოფრენიით დაავადებულ ცალკეულ პიროვნებას აღენიშნება სიმპტომთა უნიკალური კომბინაცია, რომლის ჩამოყალიბებაზე გავლენას კონკრეტული გარემო ახდენს.

შიზოფრენია „პროდრომული“ პერიოდით იწყება, რომელსაც ახასიათებს პიროვნების ფუნქციონირების გაუარესება. ამ პერიოდის სიმპტომები შეიძლება მოიცავდეს მეხსიერებისა და კონცენტრაციის პრობლემებს, სოციალურ იზოლაციას, უცნაურ ქცევას, ახირებულ იდეებს, შეგრძნებების შეცვლას, კომუნიკაციის და აფექტური რეაგირების გაუარესებას, მოტივაციისა და ინტერესების დაქვეითებას. ამ პერიოდში პიროვნება გრძნობს, რომ მისი სამყარო შეიცვალა, თუმცა გარშემომყოფნი შეიძლება არ იზიარებდნენ მის შეხედულებებს. პროდრომულ ფაზას მწვავე ფაზა მოყვება, რომელსაც ახასიათებს ბოდვა, ჰალუცინაცია, ქცევითი დარღვევები. ამ სიმპტომებს ხშირად პოზიტიურ სიმპტომებს უწოდებენ. მკურნალობის შედეგად პაციენტი გამოდის მწვავე მდგომარეობიდან, პოზიტიური სიმპტომები სუსტდება ან ქრება, თუმცა ზოგჯერ რჩება

What is depression? Depression is a mood disorder that causes a persistent feeling of sadness and loss of interest. It can arise as a reaction to stress (stressful life events or loss) depression. There are four general categories of depression: biological, behavioral, cognitive and interpersonal. It is important to have an understanding of these theories to relate to your own situation. The word depression directly from Latin “depression” means to press down, to the most distant place imaginable.

Let me collect now all five words that I just discovered:

1. Diagnosis – meaning and way of knowing;
2. Schizophrenia – schizo (split) and phrene (mind) – split mind;
3. Psychotherapy – psyche (breath, spirit, soul); terapia – (healing) – soul healing
4. Crisis – “shut door panic”.
5. Stress – struggle, force.
6. Depression - to press down.

If I put all these words together and create a narrative, in my understanding, it would sound like this: My mind split, a splitting mind touched my soul and the touch appeared unbearably painful. I found myself on the other side of the gate, I tried to get out of there, but I couldn't because the gate was locked up already. I struggled. I lost the fight and I pressed down, at the most distant place ever imaginable. My soul was in pain and suffered. Help arrived unexpectedly. I feel much better now and the horrible experience I went through gave me hope and strength. I'm not scared anymore. I already know that there are medications for emergency and there is- “Talking cure” also. They both work in a different ways.

Psychotherapy has been practiced through the ages. Medics, philosophers, spiritual practitioners and people in general used Psychological methods to heal others. The key of Psychotherapeutic treatment is self-knowledge and characterized by the verbal exchange. There are hundreds of Psychotherapeutic approaches or schools of thought, based on very different concepts of psychology, ethics or techniques. Most forms of Psychotherapy use spoken conversation, some also use various other forms of communications such as the written word, artwork, drama, narrative story or music. Different therapy approaches may be associated with particular theories about what needs to change in a person for a successful therapeutic outcome.

Stress Emergency Kit

After all what I went through and what I have learned, I have created my own emergency kit and now I want to share it with you. Experience is the highest authority-I guess. For example: Common cold is a very familiar condition to everyone. When you catch cold, you already know, that you caught it, (light headache or cough, itching throat, discomfort all over your body, low fever...) If you take care of yourself immediately, take Tylenol or any cold medication, stay at home, have some hot tea and lay down for one day, more likely you'll feel healthy the next day or at least much better. If you don't pay attention to your symptoms and keep doing your outdoor activities, it is more likely that you feel worse the very next day and if you still do nothing to get yourself better, there is a huge risk, that you wind up in hospital with pneumonia or even worse. Since we have experience and knowledge, we could always avoid complications. Nothing could

სიტყვები და მე

ცოდნის შექმნის მეთოდი, ისევე, როგორც სხვა ყველაფერი, ყველას თავისი აქვს. მე სიტყვებით დავინწყებ. რადგან სიტყვები ყოველთვის ზუსტად გადმოცემენ სათქმელს, სხვა ამბავია, ჩვენ რამდენად სწორად გვესმის მათი მნიშვნელობა. მგონია, თუ ფრთხილად და ყურადღებით ვიქნებით ისინი თვითონვე აგვისნიან ყველაფერს, ჩვენ კი ყველა საიდუმლოს მათი მეშვეობით გავსხნით. მინდა, რომ ე.წ ჩემი ავადმყოფობა ჩემს ენაზე მესმოდეს, რომ მისი არსი გავიგო, მიმდინარეობას მივხვდე და დაგამოსავალი მოვძებნო. ამიტომ პირდაპირ ჩემი დიაგნოზით დავინწყებ. თუმცა, ჯერ თვითონ სიტყვა დიაგნოზის მნიშვნელობაა საინტერესო. სიტყვა დიაგნოზი - ანტიკური ბერძნულიდან მოდის „გნოსოს“... ცოდნას ნიშნავს ან ცოდნის გზას. აი, ხომ ხედავთ ზუსტად ის არის, რასაც ვფიქრობდი. ეს არ არის შემთხვევითი... სწორედ ცოდნა და მისი მნიშვნელობაა იმ ჩარაზული კარის გასაღები, რომლის შესასვლელთანაც ვარ გაჭვდილი მეც და კიდევ ბევრი ჩემნაირიც. როგორმე კარის გაღება უნდა შევძლოთ, რომ ახალი ცხოვრება დავიწყოთ. ჩემი დიაგნოზი „შიზოფრენია“ ძველი ბერძნული სიტყვა აღმოჩნდა. „სიზო“ გახლენას ნიშნავს, „ფრენე“ - გონებას... არათანმიმდევრულ ფრაგმენტულ აზროვნებას... ეს დაავადება, ძვ. წელთაღრიცხვით მეორე ათასწლეულით თარიღდება და პირველად მის აღწერილობას ვხვდებით ძვ. ეგვიპტურ პაპირუსებში ე.წ. „გულების წიგნი“. ისიც უთუოდ აღსანიშნავია, რომ ძველ ეგვიპტეში გული და გონება სინონიმები არიან, მაგრამ ამაზე სხვა დროს... მეცნიერულად კი, შიზოფრენიას საბოლოო გაერთიანებული სახე კრეპელინმა მისცა და უწოდა dementia praecox. ხოლო ბლუიერმა პირველად მოგვანოდა სახელწოდება - შიზოფრენია (ფსიქიკის გახლენა),

რათა ხაზი გაესვა ფსიქიკის სფეროში სქიზისის, ანუ გახლენის მნიშვნელობისთვის. დღეს შიზოფრენიის გამომწვევი უშუალო მიზეზი მეცნიერებისთვის ცნობილი არ არის. მტკიცებულებები არ მიუთითებს რომელიმე ერთი გამომწვევი მიზეზის არსებობაზე. შესაბამისად სულ უფრო მტკიცდება აზრი, რომ შიზოფრენიის და შიზოფრენიის მაგვარი აშლილობების გამომწვევ მიზეზს მრავალ ფაქტორთა რთული ურთიერთქმედება წარმოადგენს. (Broome et al., 2005; Garety et al., 2007).

თანდათანობით ჩემთვის ყველაფერი უფრო საინტერესო ხდება, ხოლო ჩემი მდგომარეობა - შედარებით გასაგები. დაავადება, რომელიც თურმე უძველესი დროიდან მოდის, ფაქტობრივად კაცობრიობის არსებობიდან, დღემდე სიმპტომების აღწერილობას დიდად ვერ გაცდა და მისტიურ დაავადებად რჩება. აქედან გამომდინარე ვფიქრობ სრულიად გასაგები უნდა იყოს ჩემი ასეთი შფოთვა და შიში. ადამიანის ემოციებს, გარემო და გამოცდილება აპირობებს და მასვე ემყარება:

1. იმის, რაც არ გვესმის, გვეშინია;
2. ნაცნობ სიტუაციებში მშვიდად და დაცულად ვგრძნობთ თავს;
3. შფოთვა გაურკვევლობის დროს იწყება;
4. დანაკარგი კი დეპრესიას იწვევს.

ჰოდა, აბა, თქვენ თვითონ განსაჯეთ, როგორ არ უნდა შემშინებოდა, როცა სრულებით ვერ ვხვდებით რა ხდებოდა ჩემს თავს, მშვიდად როგორ ვყოფილიყავი, როცა აბეზარი ხმები მოსვენებას არ მაძლევდნენ... ასეთი არეულობისა და გაურკვევლობის დროს, როგორ შეიძლებოდა შფოთვას არ ავეტანე, ანდა როგორ შეიძლებოდა დეპრესია არ მქონოდა, როცა ჩემი ცხოვრება წამართვის და





იმის მაგივრად სხვისი შემომაჩვენეს ხელში. არც ის უნდა იყოს გასაკვირი, ყველაფერი ამისგან გაქცევა და დამალვა რომ მინდოდა და ყველა ხერხს მივმართავდი, რაზეც კი ხელი მიმიწვდებოდა, ალკოჰოლი იქნებოდა თუ წამალი... მოგვიანებით კი ისიც გავიგე, თუ როგორ ფართოდ გამოიყენება ქიმიური საშუალებები, იმისთვის, რომ არსებულ რეალობაში ადაპტირდე. ისტორიულადაც ასე იყო ყოველთვის, სხვადასხვა ქვეყანაში, ის მცენარეები მოყავდათ და იყენებდნენ, რომელიც იმ რეგიონში იზრდებოდა და ხარობდა. მსოფლიო მასშტაბით ყველაზე გავრცელებული ყოველთვის ალკოჰოლი იყო, აზიაში - ოპიუმი, ამერიკაში - თამბაქო. ყოველთვის ესაჭიროებოდა ადამიანს დამხმარე საშუალება გარემოსთან შესაგუებლად და ყოველთვის იყენებდა. მერე ისეთი წამლების გაკეთება დაიწყო, რომელიც არეგულირებდა ხასიათსა და ქცევას და ამის შემსწავლელ მეცნიერებას თვითონვე ფსიქო ფარმაკოლოგია დაარქვა... დღეს უკვე ასობით ასეთი წამალი არსებობს, რომელიც ხასიათსა და ქცევაზე, აზროვნებასა და ემოციებზე მოქმედებს. ზოგი მათგანი ხალხური მედიცინიდან არის ნასესხები, ზოგი უძველესი დროიდან მოდის, ზოგი შემთხვევით აღმოაჩინეს, სხვა დაავადების მკურნალობისას. თუმცა, უდიდესი ნაწილი ამ წამლებისა, მაინც სისტემატიური, მეცნიერულ-ლაბორატორიული კვლევის შედეგია და სწორედ მეცნიერული კვლევებით მიღებული საუკეთესო მტკიცებულებები ადასტურებს მათ ეფექტურობას, როგორც მწვავე მდგომარეობების სამკურნალოდ, ასევე ხანგრძლივი მართვისთვის და გამწვავების თავიდან ასარიდებლად. შიზოფრენიის მართვისა და მკურნალობისთვის ანტიფსიქოზური მედიკამენტების გამოყენების სპექტრია:

- მწვავე ეპიზოდის მკურნალობა;
- გამწვავების პრევენცია;
- მწვავე ქცევითი აშლილობის გადაუდებელი მკურნალობა (სწრაფი ტრანკვილიზაცია);
- სიმპტომთა შემცირება.

საკმაოდ მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი ინფორმაციაა აღმოჩნდა ისიც, რომ თუკი ჩემი ე.წ. „დაავადება“ დაზიანებული ტვინის შედეგია, ან დაზიანებული ტვინის გვერდითი გართულებაა, მაშინ ამ უამრავი მედიკამენტიდან ჩემთვისაც შეიძლება შეირჩეს სამკურნალო წამალი. ეს ნაწილი ჩემთვის ყველაზე გასაგებია, რადგან ტვინიც ზუსტად ისეთივე ორგანოა, როგორც სხვა დანარჩენი და ისევე შეიძლება დაზიანდეს, დაავადდეს და იმკურნალოს, როგორც სხეულის დანარჩენმა ორგანოებმა. მაგრამ რატომღაც ამის ბოლომდე არ მჯერა და ვერც მართლ წამლის იმედზე ვერ ვიქნები... არ გვეგონოთ, რომ წამლის არ მჯერა, სულ პირიქით, ძალიან კარგია, რომ წამალი არსებობს, თანაც - ასეთი მრავალფეროვანი და ასე ხელმისაწვდომი. კარგად შერჩეული წამალი შეიძლება ყველაზე ეფექტურიც იყოს ზოგ შემთხვევაში. მაგრამ იმ საუკეთესო შემთხვევაშიც კი, წამალი არ უნდა იყოს საკმარისი, რადგან მაინც არ არის ჩემი დაავადება მხოლოდ ფიზიკური სენი, რომელიც ტკივილით ან სხვა ფიზიკური სიმპტომებით გამოიხატება.







ფსიქიკური აშლილობა და სიძვირით მაპურნალობა

ამიტომაც დავინწყე ისევ ძებნა და ძიება... და მივაკვლიე კიდევაც... ფსიქოთერაპია, ასე ქვია მკურნალობის იმ მეთოდს, რომელიც სრულებით არ ჰგავს სხვა მეთოდებს, ის ხანგრძლივი სწავლისა და მკურნალობის პროცესია. თვითონ სიტყვა ანტიკური ბერძნულიდან მოდის, „ფსიქეა“ სულს ნიშნავს, ხოლო „თერაპია“- კურნებას. მკურნალობის მეთოდად ფსიქოთერაპია სიტყვას იყენებს (ეს, ხომ ზუსტად ის არის, რაც მე მჭირდება. მეც ხომ სიტყვებით დავინწყე)... ლაპარაკით, აღიარებით, გაანალიზებით და სიღრმისეული გაგებით, ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე პაციენტებს ასწავლის ხერხებს და უსახავს სტრატეგიას, თუ როგორ გაუმკლავდნენ კრიზისს, სტრესს, შფოთვისას, არაჯანმრთელ ფიქრებს და ა.შ... მგონი, ამას ვეძებდი ასე გულმოდგინედ. სწორედაც რომ - ცოდნა და ხერხი მაკლია ჩემი პრობლემების დასაძლევად და თავის დასახმარებლად...

არ მინდა, ამასობაში ჩემი სიტყვები რომ დამავინწყდნენ და სანამ გავაგრძელებ, ჯერ ის სამი ახალი სიტყვა მინდა გავიმეორო, რომელთა მნიშვნელობაც უკვე გავიგე:

1. დიაგნოზი - მნიშვნელობა და ცოდნა;
2. შიზოფრენია - გახლეჩილი გონება;
3. ფსიქოთერაპია - სულის კურნება.

ჯერჯერობით ყველაფერი თანმიმდევრობით მიდის... ახლა მაინტერესებს სიტყვები: სტრესი, კრიზისი, დეპრესია - მათი განმარტება და მნიშვნელობა. ეს სიტყვები კიდევ მეტად უფრო იმიტომ მაინტერესებს, რომ თითოეულ სიტყვას ვგრძნობ და კარგად ვიცნობ.

კრიზისი - გერმანული სიტყვის ძირი აღმოჩნდა და „დახშული ჭიშკრის პანიკა“ ნიშნავს. რა კარგად ვიცნობ ამ სიტყვას: დაკეტილი კარს მიღმა დარჩენის შიში. შიში, რომელიც ჯერ ბალანსს გაკარგვინებს, მერე ორიენტაციას, ბოლოს საკუთარი ცხოვრებიდანაც გაგდებს... და გტოვებს ასე უმისამართოდ და უგზო-უკვლოდ ტრიალ მინდორში... აი, თურმე რა ყოფილა... აკი ვითხარით, კარგად ვიცნობ-მეთქი!

სტრესი - ლათინური სიტყვაა და ბრძოლას ნიშნავს. მახსენდება კრიზისში მყოფი, მარტოდ-მარტო დარჩენილი, როგორ ვიყავი დაძაბული შფოთვისგან, ლამის გული ამოვარდნოდა, ცხოველური ინსტიქტით ვგრძნობდი მოახლოებული საშიშროებას და საბრძოლველად ვემზადებოდი. ბრძოლის მოედანი კი თავად ვიყავი.

დეპრესია - ლათინური სიტყვაა და თუ გადმოვქართულებ, სიტყვა-სიტყვით „ჩაქვესკნელებას“ ნიშნავს. ზოგი ამ მდგომარეობას ინტერსის დაკარგვას ეძახის, ზოგი უიმედობას, მე მას უფრო „სულის მწუხარებას“ დავარქმევდი. ამაზე ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ...

ახლა კი, რომ დამავინწყდეს, ამიტომ თავიდან გავიმეორებ:

- კრიზისი - „დახშული ჭიშკრის პანიკა“;
- სტრესი - ბრძოლა;
- დეპრესია - ჩაპრესვა, ჩაქვესკნელება.

მე მგონი ღროა ყველა ახლად ნასწავლი სიტყვა გამოვიყენოთ და წინადადება პირველ პირში ავანწყოთ, ვნახოთ რა გამომივა:

ჩემი გონება გაიხლიჩა და ის ახლეჩილი ნაწილი სულს მოხვდა, ეს შეხება გონების დაკარგვამდე მტკივნეული აღმოჩნდა. გონდაკარგულმა, ჩემი თავი დახშული ჭიშკრის მიღმა ვიპოვე და ჭიშკრის

be as authoritative as our own experience. It is to experience that we must return again and again, to discover a closer approximation to truth as it is in the process of becoming oneself. It is like when you learn to swim, what do you first do? You make mistakes. And what happens? You make other mistakes, and when you have made all the mistakes you possibly could without drown – and you find that you can swim. Life is just the same as learning to swim! And there is no other way of learning how to live! When you live in jungle you can't be content just to sail back and forth near the shore. You've got to get into it, no matter how strange and frightening it might seem.

When you have mental decease, there is nobody around who could hear, see or feel like you do. So, if you catch yourself in a stage of rage, my first suggestion would be to take a look on the picture on the next page and look at it very carefully:

The first thing you could see on the photo would be a rabbit, but for someone else it could be a duck. The next picture seems as an apple for you, but for someone else it may occur as a man in profile; in the middle, there is a pretty women smiling at you, but for someone else, it could be a man playing a saxophone. The next one is definitely a cob-let, or a big cup you think, but for someone else there are two women steering at each other. And the last one, there is no doubt – it is a frog, but if you rotate the picture, you will see the face of a horse. You see how tricky it could be... it is how we all look at things in different ways and there is no wrong and right. There is more than one way of perceiving things around us. Being stuck in one dimensional thinking can indeed be limiting and will only serve to cause

you to miss out on important information, causing to lose sight of the whole. Perception chooses our reality and most disagreements are caused by different prescriptions that create different realities. "Meanings are not determined by situations, but we determine ourselves by the meanings we give situations". The only reality I can possibly know is the world, as I perceive it at this moment. The only certainty is that those perceived realities are different. There are as many "real words" as there are peoples! (Carl Rodgers). So, I won't be upset and angry, when I'm not understood, because they are just looking at things in their own way... All the genius people were different in different ways and none of them were understood completely. (Just in case, if you are interested in, see the last page). Ordinary people are not capable of understanding extraordinary things. So, I keep this picture as a reminder of that. I have learned that the most important thing in my life is acceptance. The curious paradox is that when I accept myself just as I am, then I can change. Life is about being and becoming.

My name is Different and I think everything happens for a reason. Each situation in life represents a challenge to us and presents a problem to solve. Therefore, I accept confusion, uncertainty, fears and emotional ups and downs; because that's the price I'm willing to pay for a fluid, perplexed and exciting life. Even a happy life cannot be without a measure of darkness, and the word happy would lose its meaning if it were not balanced by sadness. My thoughts are the ones that propel me in the right or wrong direction. I have to be very careful when uninvited and unusual voices or thoughts come to visit me, because I already know what they are ca-

pable of. They could set up a negative mind, which will never give me a positive life, they could put “my words” into unusual and strange action, they could make my behavior as habit, and my habit- as my value. My value eventually will become my destiny and I won’t be myself anymore, but the stranger.

Since I have been there, my vision and perception of my life are pretty different now, from what I had before. I have changed; even depression (which literally means “a lowering”) does not scare me anymore. I think the suggestion that depression is a “mental illness” is absurd. Depression is a natural human response to an endless variety of circumstances and states of unresolved suffering, or tension within the psyche. It is an emotional, relational and spiritual response to a sense of meaninglessness and lack of life purpose. While it can be debilitating (for example, in cases of extreme crisis, or forgotten trauma), it can also have a creative outcome. This kind of depression is best dramatized as myth, when the hero must go through a symbolic death and rebirth (examples of such myths Dionysus, Osiris, Demeter and Persephone, Orpheus and Eurydice). Reading and reflecting on such myths can help provide an imaginative context for the soul’s journey through the depression. Bear in mind that depression is never the end of the story. There’s always a rebirth at the end of the journey!

From my experience I have learned, that it’s very important to be kind to myself also: rest, wait, reflect, unwind, let go, sleep and renew, whenever I need to. Alternately, gentle, non-strenuous exercise, long walks (particularly in sunshine, through forests, and/or near flowing water, or the ocean), warm baths, restful music, meditation and gardening helps, calms and nourishes the psyche and re-attune it to Nature.

I have learned, that I should pay attention to all my symptoms very carefully and I ask for help in time. Keep smile on my face and never give up.

I know, it’s possible and you know why? Just because, there is no such word as impossible, but the true word is “I’m possible”. It’s possible to prevent, avoid or at least make my “so called” sickness easier.

Crisis Emergency Kit (Self-helper)

